

საგანმანათლებლო, სამეცნიერო, მართვისა და ინდუსტრიული კომპონენტების ერთობლიობა კლიმატის მართვისა და კლიმატის ცვლილების პრევენციისთვის

ERASMUS + –ის პროგრამის - Capacity Building Higher Education programme - ფარგლებში 2020 წელს დაფინანსდა პროექტი “საგანმანათლებლო, სამეცნიერო, მართვისა და ინდუსტრიული კომპონენტების ერთობლიობა კლიმატის მართვისა და კლიმატის ცვლილების პრევენციისთვის” (CLIMAN) (შემდეგში - „საგრანტო პროექტი“, N 619119-EPP-1-2020-1-NL-EPPKA2-CBHE-JP). პროექტის მონაწილეა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (Georgia), ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (Georgia), ნიდერლანდების ბიზნეს აკადემია (Netherlands), გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (Germany), მიკოლას რომერის უნივერსიტეტი (Lithuania), ფოგიას უნივერსიტეტი (Italy), ტურიბას უნივერსიტეტი (Latvia), ხარკოვის საავტომობილო და მაგისტრალის ეროვნული უნივერსიტეტი (Ukraine), კროკის უნივერსიტეტი (Ukraine), ლვივის პოლიტექნიკური ეროვნული უნივერსიტეტი (Ukraine), პოლესის სახელმწიფო უნივერსიტეტი (Belarus), გროდნოს იანკა კუპალას სახელმწიფო უნივერსიტეტი (Belarus), ჰულტოგენ ნახჰალთიჰაითსბელათუნგი (Germany).

გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციით საქართველოს აქვს ვალდებულებები და ეროვნული პრიორიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კლიმატის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. საქართველოს ეროვნული პრიორიტეტებიდან მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სექტორზე კლიმატის ცვლილების გავლენა, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს ეროვნულ პოლიტიკას ამ მიმართულებით და პასუხისმგებელია საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე, მონიტორინგზე და ანგარიშგებაზე. საქართველოსთვის კლიმატის დაცვისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოს დაცვა გაჭუჭყიანებისაგან და სოფლის მეურნეობიდან და მრეწველობის სხვადასხვა დარგებიდან სათბური აირების ემისიის შემცირება, რისთვისაც ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: ეკო ტრანსპორტის გამოყენების ზრდა, ტყეების ხელოვნური აღდგენა-განახლება, ირიგაციული სამუშაოები, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელების მშენებლობა, შავი ზღვის ნაპირდაცვითი სამუშაოები, ქარისა და მზის ენერჯის გამოყენება, მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების ქსელების გაფართოება, მუდმივი მონიტორინგის წარმოება გარემოს კომპონენტების მდგომარეობაზე. ჩვენი ქვეყნის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები აქტიურად არიან ჩაბმულები აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში, რაც გამოიხატება კვლევების ჩატარებაში სხვადასხვა მიმართულებებით. პროგრამა, რომელზეც ჩვენ ვაპირებთ პროექტის ფარგლებში მუშაობას,

თავისი სასწავლო კურსებით, კვლევის თემატიკით მაქსიმალურად უზრუნველყოფს ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას კლიმატის ცვლილებების გავლენის შესახებ.

კვლევების წარმატებულად ჩატარებისათვის საჭიროა ლაბორატორიების თანამედროვე აპარატურით და საჭირო მასალებით აღჭურვა, საერთაშორისო (ISO) სტანდარტების შესაბამისი მეთოდების დანერგვა. პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების შემცირების საკითხებთან დაკავშირებით.

პროექტი ითვალისწინებს კლიმატის კვალიფიციური მენეჯერების მომზადებას. ამ მიზნით, პროექტში მონაწილე ჯგუფები შეისწავლიან ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას, შეარჩევენ და დაატრენინგებენ პერსონალს, განახლებენ არსებულ სამაგისტრო პროგრამებს გარემოს დაცვასა და მენეჯმენტის მიმართულებით კლიმატის ცვლილების პრევენციის, ადაპტაციისა და შემარბილებელი პოლიტიკის მიმართულებით ინტერდისციპლინარული ტრენინგის მოდულის შემუშავებით. პროექტის საქმიანობა ორგანიზებული იქნება პარტნიორ ქვეყნებში და ევროკავშირში. შეიქმნება კლიმატის მენეჯმენტის ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამრეწველო და სატრანსპორტო სექტორების, ენერჯეტიკის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და პარტნიორი უნივერსიტეტების ურთიერთთანამშრომლობას.

ეს პროექტი ეროვნულ დონეზე მიზნად ისახავს ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირებას და მათი პროფესიული დასაქმების წილის გაზრდას განახლებული (კლიმატის მენეჯმენტის ინტერდისციპლინარული ტრენინგის მოდულის შემუშავების გზით) სამაგისტრო პროგრამაში. პროექტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სტუდენტების ეგრეთ წოდებულ "თვითდასაქმებას" ბიზნეს კომპეტენციების განვითარების და მხარდაჭერის გზით, საკუთარი კლიმატზე ორიენტირებული ბიზნესის შექმნასა და განხორციელებას კლიმატის მართვის ცენტრის ბაზაზე.

ბსუ-ს გუნდი. ბსუში პროექტის კოორდინაციას უწევს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, პროექტში სხვადასხვა პოზიციაზე ჩართულია პერსონალი:

1. ლელა თურმანიძე, პროექტის მენეჯერი, მკვლევარი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
2. ვლადიმერ ლლონტი, მკვლევარი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
3. ნანა მაზმიშვილი, მკვლევარი, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასისტენტ პროფესორი;
4. დარეჯან ჯაში, მკვლევარი, ასისტენტ პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტი;

5. თამარ ღოღობერიძე, მკვლევარი, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი;
6. ნუნუ ნაკაშიძე, მკვლევარი, ასოცირებული პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტი;
7. ცირა ქამადაძე, მკვლევარი, ასისტენტ პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი;
8. ანთაზ ქიქავა, მკვლევარი, პროფესორი, მედიცინის და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი;
9. ნარგული ასანიძე, მკვლევარი, პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტი.